ხელშეკრულება № 204
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 14 მაისი 2014 წელი

ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით, შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში შემსყიდველად წოდებული და

მეორე მხრივ, შპს "კავკასუს ონლაინი" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ. 71) .GE დომენის ადმინისტრატორის ია ფერაძის სახით (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში მიმწოდებლად წოდებული) ვმოქმედებთ რა თითოეული ორგანიზაციის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დომენური სახელის **"qartuli.ge"** რეგისტრაცია და მისი ტექნიკური მომსახურება (CPV-72417000), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების, მომსახურების გაწევის პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. მომსახურება გაწეული უნდა იქნეს 2014 წლის 15 მაისიდან ერთი წლის განმავლობაში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 16 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 3. მომსახურების აღწერა

მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველს მომსახურებით რომელიც გულისხმობს შემდეგს:

ახორციელებს ინტერნეტის საერთაშორისო ქსელში დომენის რეგისტრაციას - **"qartuli.ge"** და უზრუნველყოფს მის აქტიურობას.

მუხლი 4. მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლებში აღნიშნული მომსახურებისათვის უხდის 30,00 (ოცდაათი ლარი 00 თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4.2 ერთეულის ღირებულება (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დომენური სახელის რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაგრძელება) შეადგენს 30 ლარს.

4.3 შემსყიდველმა მომსახურების ღირებულება უნდა გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვის) ფორმით, და უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

შპს "კავკასუს ონლაინი", საიდენტიფიკაციო კოდი: 211380833, სს თიბისი ბანკი ა/ა GE59TB0600000100467052, ბანკის კოდი: TBCBGE22

4.4 ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობაა მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის წარმოდგენა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.1.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და შეასრულოს **GE დომენის რეგისტრაციის წესები და პირობები** (www.nic.net.ge);

ბ) დროულად მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა ხელშეკრულების მეოთხე მუხლში დადგენილი ოდენობით და წესის შესაბამისად;

ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ
ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
14 05 2014 წ.
3 ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

გ) მიაწოდოს მიმწოდებელს სარეგისტრაციო ინფორმაციის განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია (www.nic.net.ge);

5.2.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.2.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს კონსულტაცია დომენური სახელის რეგისტრაციის პროცედურის შესახებ;

ბ) განახორციელოს დომენური სახელის რეგისტრაცია ან რეგისტრაციის გაგრძელება **GE დომენის რეგისტრაციის წესებისა და პირობების** დაცვით;

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

მუხლი 6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მომსახურების შემოწმება/კონტროლი. თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული "წუნდების აქტი", რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნდების აქტში მითითებული ხარვეზები;

6.2 მომსახურების მიღების მიზნით შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ქსელებისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სისტემური და ქსელური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს ვახტანგ სხილაძეს.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია არასათანადო მომსახურების შემთხვევაში იხ. მუხლი **6.1.** დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველწლიურად ასანაზღაურებელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

6.5 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში (მუხლი 4.3.) მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. მხარეთა შეთანხმება;

7.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების **2.1.** მუხლით დაწესებული ვადის გასვლა.

7.1.3. კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

7.2.1. ხელშეკრულება ვადამდე შემსყიდველის ინიციატივით წყდება, თუ:

ა) მიმწოდებელი ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ სამართალმდგომარეობებს.

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.2.2. ხელშეკრულება ვადამდე მიმწოდებლის ინიციატივით წყდება:

ა) შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

შეფასებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
14.05.2014 წ.
3 ფურცელი

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია გაფიცვების, ომის, წყალდიდობის, ხანძრის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად.

მუხლი 10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე - 2 (ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

10.3. საკითხები, რომლებიც წარმოშვებიან წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული ხელშეკრულებაში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

10.4. ხელშეკრულების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

10.5. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებას.

10.6. მხარეებმა წავიკითხეთ წინამდებარე ხელშეკრულება, იგი ზუსტად გამოხატავს ჩვენს ნებას და მოვაწერეთ მას ხელი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: 203840433 მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. 12 ტელეფონი: 2991122 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22 ა/ა №200122900	შპს "კავკასუს ონლაინი" საიდენტიფიკაციო კოდი: 211380833 მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 71 ტელეფონი: 2970037 საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი ა/აGE59TB0600000100467052, ბანკის კოდი: TBCBGE22
ნინო მურჯიკნელი საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	ია ფერაძე .GE დომენის ადმინისტრატორი http://www.nic.net.ge/

Tbilisi Service Center #1
Caucasus Online LLC

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
14 03 2019 წ.
ფურცელი